13/07/2018 ქ. თბილისი

ბრძანება №449/18

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე რეგისტრაციის, გამოცდის ჩატარების და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის წესისა და ვადების შესახებ

უნივერსიტეტის მართვის დებულებით პრეზიდენტებისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ #-227-ე ბრძანების დანართი #-1-ის მე-4, 29-ე და 30-ე მუხლების, სამაგისტრო და საბაკალავრო დებულების პირველი და მე-8 მუხლების საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია:
   - ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა ინგლისურ ენაში; ხოლო სამართლის პროგრამაზე სწავლების მსურველთათვის ინგლისური/გერმანული.
   - გასაუბრება სპეციალობის მიხედვით.
2. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს <u>29 აგვისტოდან 7 სექტემბრის</u> ჩათვლით. რეგისტრაცია ჩატარდეს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 18:00 საათიდან 21:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 77, IV სასწავლო კორპუსი, II სართული, ოთახი #-201.
3. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე გასვლის მიზნით რეგისტრაციისას წარმოადგინოს:
   - გამოცდის საფასურის ქვითარი (20 ლარი);

   შენიშვნა: საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ენის გამოცდიდან თავისუფლდებიან თუ დახურული აქვთ B2 დონე ინგლისური/გერმანული
   - საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;
   - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   - ბაკალავრის დიპლომი (დედანი, ასლი), ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
   - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; (ვაჟების შემთხვევაში);
   - ფოტოსურათი (3X4).
   - CV ფოტოსურათით და სამოტივაციო წერილი.

4. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა ჩატარდეს 10 სექტემბერს, 10:00 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. 77ა, IV სასწავლო კორპუსში, ოთახი #-407.

5. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გასაუბრება ჩატარდეს 13 და 14 სექტემბერს, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. 77ა, IV სასწავლო კორპუსში.

- სოციალურ მეცნიერებათა სკოლა: ოთახი #701 (IV კორპუსი);
- სამართლის სკოლა: ოთახი #420 (IV კორპუსი);
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა - 334 აუდიტორია
  საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა 327 ოთახი
- ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა: ოთახი #302 (I კორპუსი);
- ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის და ინჟინერიის სკოლა: ოთახი #207 (IV კორპუსი);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა: ოთახი #606 (IV კორპუსი);

6. მათ სწავლას აგრძელებს საერთაშორისო ბიზნეს სამართლის პროგრამაზე ვალდებულია ჩააბაროს ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაზე სპეციალობაში.
გასაუბრების საკითხები და ძირითადი პრინციპები:
ა) საერთაშორისო სამართალში;
ბ) საკორპორაციო სამართალში;
გ) სახელშეკრულებო სამართალში.
7. ბიზნეს სამართლის პროგრამაზე საჭიროა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონე, რაც განისაზღვრება:
ან ა) საუნივერსიტეტო გამოცდით, მინიმუმ 70%-იანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში;
ან ბ) საერთაშორისოდ აღიარებული ენის გამოცდების (IELTS, TOEFL ან Cambridge English Exam-ის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით (ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი ქულაა IELTS - 5.5-6.5; TOEFL 87-109 IBT, Cambridge English Exam -160-179);
ან გ) ბაკალავრატში ინგლისურ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

8. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდის შედეგებით უკმაყოფილების შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი უფლებამოსილია წარმოადგინოს საპრეტენზიო განაცხადი გამოცდის შედეგების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა.
9. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც მოიპოვა საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის უფლება, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად, 19 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინოს:

- სწავლების საფასურის იმ ოდენობის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღემატება მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს.

10. აკადემიური რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 19 – 22 სექტემბერი.
11. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ მატარებელზეც.
12. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებეს სალომე გორგაძეს.
13. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ug.edu.ge.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საქართველოს უნივერსიტეტის დავის განმხილველ საბჭოში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით ბრძანების კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში მის: ქ. თბილისი, კოსტავასქ. №77ა.

პრეზიდენტ გიული ალასანიას მოვალეობის შემსრულებელი,
რექტორი

_____ კონსტანტინე თოფურია